პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი, № 107 (12619) | სამშაბათი, 7 მაისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ფიდელ კასტრო და ნ. ს. ხრუშჩოვი მოსკოვს დაბრუნდნენ

სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი სამი დღის განმავლობაში დასასვენებლად იყვნენ მოსკოვის მიდამოებში. 4 მაისს მათთან ჩავიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი მარშალი რ. ი. მალინოვსკი, მარშლები ა. ა. გრეჩკო და ნ. ი. კრილოვი.

5 მაისს საღამოს ფიდელ კასტრო, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, რ. ი. მალინოვსკი და სხვა მათი თანმხლები კუბელი და საბჭოთა ამხანაგები, მათ შორის საბჭოთა კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ა. ი. ალექსეევი, მოსკოვს დაბრუნდნენ.

ფიდელ კასტრო რუსმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ნ. ს. ხრუშჩოვის მიწვევით ერთი დღე გაატარეს მოსკოვსახლო აგარაკზე: სურათზე: გასეირნების დროს. ფიდელ კასტროს ხელში აყვანილი ჰყავს ნიკიტა — ნ. ს. ხრუშჩოვის შვილიშვილი.

ფოტო ვ. ეგოროვისა და ვ. სავოსტიანოვისა. (საკ. დესის ფოტოქრონიკა).

ხალხის სახელით

ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში, საპირველმაისო დღესასწაულის დღეებში ყველგან გაისმოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებები:

„გაუმარჯოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს — ხელისუფლების ნამდვილად სახალხო ორგანოებს!

დაე ვთარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატია!“

დიახ, სწორედ საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის განვითარების ერთერთი მაგალითია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე მოწვევის პირველი სესია, რომელმაც ამ რამდენიმე დღის წინ დაამთავრა მუშაობა.

ვინ არიან ისინი, 400 დეპუტატი, რომლებიც პირველ სესიაზე იმისათვის შეიკრიბნენ, რომ ჩამოეყალიბებინათ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები? რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები — მუშები, კოლმეურნეები, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები... დეპუტატთა თითქმის ნახევარი მუშები და კოლმეურნეები არიან, სწორედ ისინი, რომლებიც უშუალოდ ქმნიან მატერიალურ დოვლათს.

დეპუტატთა შორის 115 უპარტიოა. ეს იმას ნიშნავს, რომ კომუნისტებისა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკი ჩვენში არა მარტო ლოზუნგია, არამედ საქმით გამოხატული ჭეშმარიტება. პარტიის ახალი პროგრამის შესაბამისად წელს 76 პროცენტით განახლდა დეპუტატთა შემადგენლობა. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში 292 დეპუტატი პირველად არის არჩეული. ხალხის რჩეულთა შორის ბევრი ქალია, აგრეთვე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი.

რის შესახებ მეტყველებენ ეს ფაქტები?

ჩვენი რესპუბლიკის ახალ პარლამენტში სხვადასხვა ასაკის, ეროვნების, პროფესიის ადამიანები არიან, მაგრამ მათი მიზანი ერთია — ხალხისათვის სამსახური, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლა. და სწორედ ამ პარლამენტის პირველი სესია, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა, წარიმართა პოლიტიკურ და საქმიან ვითარებაში, დეპუტატთა მაღალი აქტივობით.

სესიამ ღრმად და ყოველმხრივ განიხილა საქართველოს სს რესპუბლიკაში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების საკითხი, შექმნა მუდმივი კომისიები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანესი დარგების მიხედვით, აირჩია პარლამენტის მთავარი საკანონმდებლო და შემსრულებელი ორგანო — უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, შექმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებს ერთსულოვანი მოწონებით ხვდებიან რესპუბლიკის მშრომელები.

ხალხის რჩეულები, რომლებიც აღჭურვილი არიან უმაღლესი ნდობით, უკვე პრაქტიკულად შეუდგნენ მშრომელთა განაწესების შესრულებისათვის ბრძოლას. მათი მოღვაწეობის კეთილშობილური გზაზე წინ უფრო დიდი ამოცანებია გადასაწყვეტი. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში ხომ განსაკუთრებით მაღლდება საბჭოების როლი!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია დიდი ყურადღებით მოეკიდა მუდმივი კომისიების შექმნას სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხებისათვის. ეს ნიშნავს, რომ გაცილებით კონკრეტული გახდება დეპუტატთა მოღვაწეობა, გაძლიერდება კონტროლი ეკონომიკისა და კულტურის უმნიშვნელოვანეს უბნებზე საქმის მდგომარეობისადმი.

სკკპ პროგრამაში ნათქვამია:

„საბჭოს თვითეული დეპუტატი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფო მოღვაწეობაში და ასრულებდეს გარკვეულ სამუშაოს. იზრდება საბჭოების მუდმივი კომისიების როლი. უმაღლესი საბჭოების მუდმივი კომისიები მოწოდებული არიან სისტემატურად უწევდნენ კონტროლს სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოების საქმიანობას და აქტიურად უწყობდნენ ხელს შესაბამისი უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას“.

ხალხის რჩეულნი თავიანთ მოწოდებას იმაში ხედავენ, რომ ძალისა და ენერგიის დაუზოგავად იბრძოლონ პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის, იბრძოლონ იმ საპატიო ამოცანების შესასრულებლად, რაც დასახულია ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე. სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდა, ტექნიკური პროგრესი, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნა, ახალი, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდა, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება — აი თვითეული დეპუტატის ყოველდღიური საზრუნავი.

სესიის ყურადღების ცენტრში იყო საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელების საკითხი. ეს კი თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის მახლობელი საქმეა.

დეპუტატებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რა მუშაობაა გაწეული ამ მხრივ რესპუბლიკაში, რა ნაკლოვანებები არსებობს, რა დამატებითი ღონისძიებებია საჭირო საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელებისათვის.

რესპუბლიკაში ამჟამად 4.249 სკოლაა, რომლებშიც 750.519 მოსწავლე სწავლობს, რაც ხუთჯერ მეტია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელთან შედარებით.

სესიამ მიიღო დადგენილება, რომელიც მიმართულია რესპუბლიკაში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განუხრელად განხორციელებისაკენ.

სკოლის შესახებ მიღებული ახალი კანონის საფუძველზე საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლება ნამდვილად სახალხო საქმედ იქცა, და ეს ბუნებრივიც არის. აღვუზარდოთ ქვეყანას ცოდნას დაუფლებული, კომუნიზმის მშენებლობისათვის აქტიურად მებრძოლი ადამიანები — ეს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების მუდმივი ზრუნვის საგანია. იმაზე, თუ რამდენად განათლებული, ცოდნას დაუფლებული ადამიანები იშრომებენ ჩვენი მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, ბევრად არის დამოკიდებული კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანის წარმატებით განხორციელება.

ამას წინათ გამოქვეყნდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის მრეწველობამ საერთო პროდუქციის წარმოების 1963 წლის პირველი კვარტალის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა. ამ წარმატებაში უდავოდ დიდია სკოლის როლიც. სწორედ სკოლაში მიღებულმა ცოდნამ შეუწყო ხელი ბევრ მუშას უფრო ღრმად ჩასწვდომოდა წარმოებას, საკუთარი შრომა და ცხოვრება შეეფასებინა სახელმწიფოებრივი ინტერესების პოზიციებიდან. დეპუტატთა შორისაც ბევრია მუშა და კოლმეურნე, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ეუფლებიან ცოდნას. მათ სესიის სხვა მონაწილეებთან ერთად შეიმუშავეს ღონისძიებანი, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს რესპუბლიკაში საყოველთაო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელებას.

საქართველოს სსრ ახალი პარლამენტი აქტიურად ჩაება მუშაობაში! ფართოა მისი მოღვაწეობის ასპარეზი. რესპუბლიკის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მთავარი ზღუდეები ავიღოთ უკვე 1963 წელს — შვიდწლედის მეხუთე წელს — ეს თვითეული დეპუტატისაგან მოითხოვს აქტიური და შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელებას, მასებთან ყოველდღიურ კავშირს, უნარს — დროულად შენიშნოს კარგი, დადებითი და სხვაგანაც გაავრცელოს იგი, ხოლო ცუდი ადგილზევე აღკვეთოს.

ახალი წარმატებებისათვის, ამხანაგო დეპუტატებო!

ფიდელ კასტრო რუსი წავიდა საბჭოთა კავშირში სამოგზაურროდ

მოსკოვი, 6 მაისი. (საკდესი). კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველმა მდივანმა, კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა **ფიდელ კასტრო რუსმა** და მისმა თანმხლებმა პირებმა დაიწყეს მოგზაურობა საბჭოთა კავშირში. დღეს ისინი ფოლგოგრადს გაფრინდნენ.

კუბის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე სპპაკი სტუმარი გააცილეს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **მ. ა. სუსლოვმა**, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ა. ა. გრომიკომ**, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა **რ. ი. მალინოვსკიმ**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ს. ა. სკაჩკოვმა**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ **ვ. ე. სემიჩასტნიმ** და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

კუბელ სტუმრებთან ერთად ვოლგის გმირ ქალაქში გაფრინდნენ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ი. ვ. ანდროპოვი**, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე **ვ. ვ. კუზნეცოვი**, სსრ კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში **ა. ი. ალექსეევი**, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლათინური ამერიკის ქვეყნების განყოფილების გამგე **ვ. ი. ბაზიკინი**.

ფიდელ კასტროსა და სხვა კუბელ სტუმრებთან ერთად ჩვენს ქვეყანაში სამოგზაუროდ წავიდა კუბის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში **კარლოს ოლივარეს სანჩესი**.

ვოლგოგრადს გამგზავრების წინ ფიდელ კასტრო ეწვია ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს **დოლორეს იბარურის** და ესაუბრა მას.

იმავე დღეს კუბის რევოლუციური მთავრობის მეთაური ესტუმრა საბჭოთა მწერალს **ბორის პოლევოის**.

ვოლგოგრადი, 6 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს გმირი ქალაქის ათასობით მშრომელი უჩვეულო გულთბილობით შეეგება კუბის რესპუბლიკის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველ მდივანს, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრს ფიდელ კასტრო რუსსა და მის თანმხლებ პირებს.

ფიდელ კასტროსთან ერთად ვოლგოგრადს ჩამოვიდნენ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი და სხვა ოფიციალური პირები.

ვოლგოგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. ე. კრილოვმა და ფიდელ კასტრო რუსმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ჯილდოები — გეოლოგებს

გეოლოგიურ-საზვერ სამუშაოთა განვითარებაში, სასარგებლო წიაღისეულთა საძებნოების აღმოჩენასა და დაზვერვაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 29 აპრილის ბრძანებულებით დაჯილდოვა საქართველოს სს რესპუბლიკაში:

ლენინის ორდენით

1. **ლოლობერიძე** გიორგი მიხეილის-ძე — საქართველოს ქვანახშირისა და მადნეულის საბადოთა დაზვერვის ტრესტის მთავარი ინჟინერი.

2. **კვაზაძე** ბონდო ვლადიმერის-ძე — ბორჯომის ჰიდროგეოლოგიური პარტიის საბურღ სამუშაოთა მწარმოებელი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **გოგორიშვილი** სოლომონ ონისიმეს-ძე — ფოლადაურის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის მთავარი ინჟინერი.

2. **გუჯაბიძე** გრიგოლ ერმილეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს ცენტრალური მექანიკური სახელოსნოს ზეინკალი.

3. **ტალახაძე** — ვახტანგ პარმენის-ძე — ბორჯომის ჰიდროგეოლოგიური პარტიის ბურღვის ოსტატი.

4. **ჩელდიევი** პეტრე სტეფანეს-ძე — კვაისის გეოლოგიურ-საზვერი პარტიის უფროსი ბურღვის ოსტატი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **ბეჟანოვი** დავით მარტინის-ძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კონტორის მუშა.

2. **ყანჩაველი** ლევან სერგის-ძე — კოლხეთის ჰიდროგეოლოგიური პარტიის უფროსი ბურღვის ოსტატი.

3. **რეხვიაშვილი** ალექსი მიხეილის-ძე — მადნეულის გეოლოგიურ-საზვერი პარტიის ბურღვის ოსტატი. (საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“:

1. **გოგოლაძე** ომლეთ სამსონის-ძე — ქ. თბილისის მე-4 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი

2. **კაპანაძე** გურამ პაელეს-ძე — ქ. თბილისის მე-4 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე

3. **პარშინი** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე — ქ. თბილისის პირველი დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე

4. **ხოლხანშვილი** ილია დმიტრის-ძე — ქ. თბილისის მე-6 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე

5. **ტერტეროვი** არტინ ალექსის-ძე — ქ. თბილისის მე-3 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე

6. **ჩარგაზია** შალვა პაელეს-ძე — აფხაზეთის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი

7. **ჭაბუკიანი** ოთარ გალაქტიონის-ძე — ქ. თბილისის გასამხედროებული სახანძრო დაცვის განყოფილების ოპერატიული მორიგე

8. **ჭუმბურიძე** ოთარ ზაქარიას-ძე — ქ. თბილისის პირველი დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე

9. **ხუტაშვილი** იოსებ ივანეს-ძე — ქ. თბილისის მე-4 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის განყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოტრიკაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი. 1963 წლის 28 აპრილი.

ქართველ გმირთა ხსოვნა

კუნძული ტესელი (ჰოლანდია), 4 მაისი. (საკდესი). დღეს ჰოლანდიის კუნძულ ტესელზე (ჩრდილოეთის ზღვაში) მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა ხსოვნის ეროვნულ დღეს ვეტერანებმა საბჭოთა სამხედრო ტყვე ქართველებისა, რომლებმაც აქ აჯანყება მოაწყეს ომის წლებში ჰიტლერელთა წინააღმდეგ და თავი დაღეს სასტიკ უთანასწორო ბრძოლაში.

ვეტერანებმა მოიტანეს სსრ კავშირის დროებითმა საქმეთა რწმენებულმა ნიდერლანდში ნ. ი. ტიმოფეევმა, ტესელის ბურგომისტრმა, ჰოლანდიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეებმა.

საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის სახელით საბჭოთა მეომრების საფლავთა გვირგვინებით შესამკობად მოვიდნენ კომიტეტის წევრები სახელგანთქმული მფრინავი საბჭოთა კავშირის გმირი მ. პ. ჩეჩნევა და გ. გ. ჯიმშელეიშვილი — გმირული აჯანყების მონაწილე.

ჯიმშელეიშვილმა ყვავილები დადო ძეგლის კვარცხლბეკზე და თანამემამულეთა საფლავებს ფრთხილად მოაბნია შორეულ მზიურ საქართველოდან ჩამოტანილი მიწა.

ნაშუადღეს საზეიმო ვითარებაში მ. ჩეჩნევამ და გ. ჯიმშელეიშვილმა საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა სახელით სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს სამ ჰოლანდიელ პატრიოტს, რომლებიც თავდადებით ეხმარებოდნენ აჯანყებულებს.

გ. გ. ჯიმშელეიშვილმა აჯანყების ცოცხალ მონაწილეთა და დაღუპულთა ნათესავების სახელით მხურვალე მადლობა გადასცა კუნძულის მცხოვრებლებს, რომლებიც დიდ დახმარებას უწევდნენ აჯანყებულთა.

ო. პივოვაროვი,
საკდესის კორესპონდენტი.

ვენთვის, სამშობლოვ!

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა, რომელიც იმისათვის იბრძვის, რომ მიმდინარე წელს მიაღწიოს 1965 წლისათვის გათვალისწინებულ წარმოების დონეს, შეიდწლედის მეხუთე წელს ახალ წარმატებას მიაღწია. მეელმავლეებმა სამი დღით ადრე შეასრულეს ოთხი თვის დავალება და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10 პროცენტით გაზარდეს ელმავლების გამოშვება.

ქუთაისი. მინის ტარის ქარხნის კოლექტივი სასახელოდ ანაღდებს შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. აქ ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულეს ოთხი თვის დავალება. განვლილ პერიოდში წარმოების ყველა უბანზე გაწეულია მნიშვნელოვანი ეკონომია. მარტო თვითღირებულების შემცირებით დაზოგილია 18.600 მანეთი, ზედნადები ხარჯების შემცირებით — 11.000 მანეთი. გარდა ამისა, ათასობით მანეთი დაიზოგა ნედლეულისა და დამხმარე მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის შედეგად. სულ მიღებულია 45 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

თბილისი. ქარხანა „ელექტროავტომატის“ კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა ოთხი თვის გეგმა. აქ გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 2.816 ცალი ელექტროავტომატი. შრომატევადი პროცესების ავტომატიზაციისა და მუშაობის მოწინავე მეთოდების დანერგვის შედეგად შემცირებულია პროდუქციის თვითღირებულება და მიღებულია 14 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ჭიბული. ამას წინათ ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტიდან დაიძრა „შავი ოქრითი“ დატვირთული მატარებელი. ეს არის საპირველმაისო შრომითი ვახტის დღეებში გეგმის გადამეტებით მოპოვებული მესამე ეშელონი სათბობი.

სომხეთის ქიმიკოსთა გამარჯვება

ერევანი. (საკდესი). შესანიშნავი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს სომხეთის ქიმიკოსებმა. პოლიეთილენაცეტატის ქარხნის სრულიად საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობაზე პირველი პროდუქცია ვადამდე გამოუშვა აცეტილცელულოზის საწარმოო კომპლექსმა, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია ევროპაში.

აცეტილცელულოზა ძვირფასი ქიმიური პროდუქტია. მისგან იღებენ მაღალხარისხოვან აცეტატის ქსოვილს, რომელიც შალს არ ჩამოუვარდება, პლასტმასის ნაწარმს, სხვადასხვა სპეციალურ ლაქს, ელექტროსაიზოლაციო მასალებს, უწვავ კინო და ფოტოლენტებს და სხვა ნაწარმს.

პირველი პროდუქცია გაუგზავნეს კროვაკანის ხელოვნური აბრეშუმის ბოჭკოს ქარხანას.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის მოლაპარაკება

ამ დღეებში ანკარაში გაიმართა საბჭოთა კავშირ-თურქეთის შერეული კომისიის სხდომები სასაზღვრო მდინარე ახურიანზე წყალსაცავის მშენებლობის საკითხზე.

სხდომებში მონაწილეობდნენ — საბჭოთა კავშირის დელეგაცია სომხეთის სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის გ. ა. ბაგრამიანის მეთაურობით და თურქეთის დელეგაცია თურქეთის სახელმწიფო წყალთა სამმართველოს გენერალური დირექტორის ნ. აკმანდორის მეთაურობით.

მოლაპარაკების მსვლელობაში მხარეებმა განიხილეს პირველი რიგის საპროექტო-საძიებო და კვლევით სამუშაოთა საკითხები, აგრეთვე მდინარე ახურიანზე წყალსაცავის ერთობლივი მშენებლობის სხვა საკითხები სსრ კავშირისა და თურქეთის მიწების მორწყვისა და ახლო-მახლო რაიონების საჭიროებისათვის ელექტროენერგიის წარმოების მიზნით.

ერთობლივი მშენებლობა წყალსაცავისა მდინარე ახურიანზე ორმხრივ სარგებლობას მოუტანს ორივე ქვეყნის საზღვრისპირა რაიონების სოფლის მეურნეობის განვითარებას.

უკანასკნელ საათს

მივცეთ სამშობლოს მეჯი არომაჯული ქართული ჩაი!

ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც სატრიბუნიო გაიმართა, გახსნა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **გ. ჯიმშერეიძემ**.

მოხსენება „ჩაის მრეწველობის 1962 წლის მუშაობის შედეგები და ამოცანები შვიდწლედის მეხუთე წლისათვის“ გააკეთა „საქართველოს ჩაის“ ტრესტის მმართველმა **ა. ხუროძემ**.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ბათუმის ჩაის ფაბრიკის დირექტორმა **შ. ხაზარაძემ**, კინდღის ჩაის ფაბრიკის მუშამ **ვ. მელნიკოვამ**, ინგირის საცდელი საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის დირექტორმა **ს. ებრაელიძემ**, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებული კვების მრეწველობის ნედლეულის მთავარი სამმართველოს უფროსმა ეკონომისტმა **ი. გრანოვსკიმ**, ონჩამჩირის ჩაის ფაბრიკის დირექტორმა **ჩ. აბგაჩმა**, დრანდის ჩაის ფაბრიკის პარტორგანიზაციის მდივანმა **ა. ოთვაშვილმა**, ზუგდიდის № 1 ჩაის ფაბრიკის დირექტორმა **შ. ჩილაჩავამ**, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის პროფესორმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა **კ. ჯმუხაძემ**.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ **დ. მამულაძემ**

თათბირის შედეგები შეაჯამა **გ. ჯიმშერეიძემ**.

(საკდესი).

ბოლოპარაკებანი — გეოლოგებს

გეოლოგიურ-საზვერ სამუშაოთა განვითარებაში, სასარგებლო წიაღისეულთა საძებნოების აღმოჩენასა და დაზვერვაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 29 აპრილის ბრძანებულებით დაჯილდოვა საქართველოს სს რესპუბლიკაში:

ლენინის ორდენით

1. **ლოლობერიძე** გიორგი მიხეილის-ძე — საქართველოს ქვანახშირისა და მადნეულის საბადოთა დაზვერვის ტრესტის მთავარი ინჟინერი.

2. **კვაზაძე** ბონდო ვლადიმერის-ძე — ბორჯომის ჰიდროგეოლოგიური პარტიის საბურღ სამუშაოთა მწარმოებელი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **გოგორიშვილი** სოლომონ ონისიმეს-ძე — ფოლადაურის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის მთავარი ინჟინერი.

2. **გუჯაბიძე** გრიგოლ ერმილეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს ცენტრალური მექანიკური სახელოსნოს ზეინკალი.

3. **ტალახაძე** — ვახტანგ პარმენის-ძე — ბორჯომის ჰიდროგეოლოგიური პარტიის ბურღვის ოსტატი.

4. **ჩელდიევი** პეტრე სტეფანეს-ძე — კვაისის გეოლოგიურ-საზვერი პარტიის უფროსი ბურღვის ოსტატი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **ბეჟანოვი** დავით მარტინის-ძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კონტორის მუშა.

2. **ყანჩაველი** ლევან სერგის-ძე — კოლხეთის ჰიდროგეოლოგიური პარტიის უფროსი ბურღვის ოსტატი.

3. **რეხვიაშვილი** ალექსი მიხეილის-ძე — მადნეულის გეოლოგიურ-საზვერი პარტიის ბურღვის ოსტატი. (საკდესი).

წარმოებაში გამოუყენებელი ტექნიკა — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრების მიმართვა

საქართველოს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს

სოფლის მშრომელები მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის ყოველდღიური დახმარებითა და მხარდაჭერით მამაცურად წყვეტენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის, ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნის გრანდიოზულ ამოცანას. სამამულო მრეწველობა სოფლის მეურნეობას ყოველწლიურად დიდი რაოდენობით აწვდის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს.

ჩვენი ქარხანა, სხვა საწარმოებთან შედარებით, ახლოს დგას სოფლის მეურნეობასთან. ქარხნის კოლექტივი განსაკუთრებით გრძნობს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების ამაღლებისათვის. ამიტომ ჩვენ არ ვჯერდებით სოფლის მეურნეობისათვის გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის გამოშვებას. მტკიცედ ვიბრძვით იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობას გეგმის გადამეტებით მივცეთ მისთვის საჭირო მანქანები, სისტემატურად ვზრდით მანქანა-იარაღების სათადარიგო ნაწილების გამოშვებას. გარდა ამისა, კოლმეურნეობებს ვეხმარებით შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის მოწყობაში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური ბაზა ყოველწლიურად იზრდება, სულ ახალ-ახალი მანქანები დგებიან სოფლის მეურნეობის სამსახურში. ახლა მეტ წილ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები მეტია, ვიდრე მტს-ების დროს იყო. მაგრამ კოლმეურნეობების სარემონტო ბაზა ჯერ კიდევ სუსტია. აქ ფასდაუდებელი დახმარების გაწევა შეუძლიათ საწარმოებს. საწარმოებში სისტემატურად ხდება ახალი ტექნიკის დანერგვა. ძველს სცვლის ახალი. გათავისუფლებული დაზგები, ჩარხები და სხვა მოწყობილობა აწყვია საწყობებში, ეზოებში, საამქოებში. ხდება მათი ჩამოწერა, და ეს ძვირფასი მოწყობილობა ხშირად იგზავნება გადასადნობად, მაშინ როცა ბევრი მათგანი შეიძლება შევაკეთოთ და მივაყოდოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ეს კი მათ დიდ დახმარებას გაუწევს რემონტის საქმეში.

ამ მხრივ უსათუოდ ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინა რიაზანის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა. მათ მთელი რიგი დაზგები, ელექტროშემდუღებელი აპარატები და სხვა მოწყობილობა, რაც ახალი ტექნიკის დანერგვით განთავისუფლდა და წარმოებისათვის აღარ იყო საჭირო, გადასცეს „სოფლტექნიკას“.

ჩვენი ქარხნის კოლექტივი გულდასმით გაეცნო რიაზანელთა შესანიშნავ პატრიოტულ თაოსნობას. ქარხნის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თაოსნობით აღვრიცხეთ მთელი ის მოწყობილობა, რომელიც ქარხანაში ახალი ტექნიკის დანერგვით განთავისუფლდა. აღმოჩნდა, რომ უქმად ეწყო წარმოებისათვის უსარგებლო, სოფლისათვის კი მეტად საჭირო დაზგები, ჩარხები და სასოფლო-სამეურნეო მან

სოციალისტური კანონიერების განმტკიცება მთელი საზოგადოებრიობის საქმეა

ეროვნული მეზუთე წლის გაზაფხულმა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს მოუტანა ახალი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში. ეს წარმატებანი მიმართულია სახალხო მეურნეობისა და კულტურის უმაგალითო აყვავებისაკენ, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ზრდისაკენ.

ყველაფერი, რასაც ჩვენმა ხალხმა მიაღწია, ყველა წარმატება, რომლებითაც ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ, — ასობით ტონა გამოდნობილი ლითონიც, მილიონობით ტონა ამოღებული ქვანახშირიც, მრავალი ცენტნერი ხორცი და რძეც, ათასობით ბინაც, — ყოველივე ეს შექმნილია საბჭოთა ადამიანების პატიოსანი მშრომელის ხელით ჩვენი საზოგადოების საკეთილდღეოდ.

ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის — ეს აზრი, რომელიც წითელ ზოლად გასდევს სკკპ პროგრამას, ხორციელდება ყოველ საქმეში, კომუნისტური მშენებლობის ყოველ უბანზე.

მაგრამ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა არა მარტო ტექნიკური პროგრესისათვის, ხალხის კეთილდღეობის ზრდისათვის ბრძოლაა. ჩვენს წინსვლას თან უნდა ახლდეს ბრძოლა კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპების დამკვიდრებისათვის, ბრძოლა ადამიანის შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღდეგ. კომუნისტური მშენებლობის პროგრამაში პარტიამ წამოაყენა გადაუდებელი ამოცანა — აღმოფხვრათ მართლწესრიგის ყოველი დარღვევა, დამნაშავეობა და მათი წარმომშობი ყველა მიზეზი.

უკანასკნელ წლებში მოლიანად ლიკვიდირებულია ძმის შედეგები სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევებისა, რომლებიც გამოწვეული იყო სტალინის პიროვნების კულტით. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დადგენილებებში, რომლებიც მიღებულია უკანასკნელი წლების განმავლობაში, ამომწურავი სისრულით არის ნაჩვენები პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების როლი და ადგილი დამნაშავეობასთან ბრძოლაში, რომელსაც უნდა ვაწარმოებდეთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა ფართო აქტივის დახმარებით.

დამნაშავეობასთან და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებთან ბრძოლის საკითხები ყოველთვის იყო და იქნება პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოებიაციების, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის შეუნელებელი უურადღების საგანი.

საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო, პროკურატურა, სასამართლო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ახორციელებენ რა კომუნისტური პარტიის მითითებებს, მნიშვნელოვან პრაქტიკულ მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ გამოავლინონ და პასუხისგებაში მისცენ მექრთამეები და სპეკულანტები, ის პირები, რომლებმაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დიდი დატაცება ჩაიდინეს, რომლებიც არღვევენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს. ამის შედეგად წლითიწლამდე მცირდება სხვადასხვა დანაშაულობანი, სულ უფრო ნაკლები ხდება ხულიგნობის, მექრთამეობის, ხაზინის გაქურდვისა და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა რიცხვი.

მიუხედავად ამისა, დამნაშავეობასთან და მის წარმომშობ მიზეზებთან ბრძოლაში ბევრი ნაკლი გვაქვს. სოციალისტური კანონიერების დარღვევები ჯერ კიდევ დიდ ზიანს აყენებს მშრომელებს, რომლებიც კომუნიზმის მშენებლობის დიდ პროგრამას ახორციელებენ. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ისეთი განსაკუთრებით საშიში დანაშაულობანი, როგორიც არის მოქალაქეთა საზოგადოებრივი და პირადი საკუთრების დატაცება, მკვლელობა, ბოროტი ხულიგნობა.

ამასთან დაკავშირებით ახლა განსაკუთრებული უურადღება უნდა მიექცეს პარტიული ორგანიზაციების, თვითეული კომუნისტის, რიგითი საბჭოთა ადამიანის როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. „გვერდი არ ავუაროთ არავითარ დანაშაულს!“ — ეს დევიზი თვითეული მოქალაქის ქცევის ნორმა უნდა გახდეს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სადაც საზოგადოებრიობა ქმედითს დახმარებას უწევს პროკურატურის, მილიციისა და სასამართლოს ორგანოებს, სისტემატურად და შეურიგებლად იბრძვის საბჭოთა სახელმწიფოს კანონების დაცვისათვის, იქ განუხრელად მტკიცდება საზოგადოებრივი წესრიგი, კლებულობს დამნაშავეობა.

ამის მაგალითს წარმოადგენს რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა. საქალაქო კომიტეტს, ქალაქის კომუნისტებს მხედველობის არეში აქვთ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლის თვითეული უბანი, ისინი არ ზღუდავენ თავიანთ საქმიანობას იმით, რომ პლენუმებზე, ბიუროებსა და კრებებზე განიხილავენ მართლწესრიგის დარღვევათა აღმოფხვრის საკითხებს, არ მიიჩნიეთ, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოების საქმეა. ქალაქის პარტიული ორგანიზაცია ქალაქის საზოგადოებრიობას რაზმავს ყოველგვარი ნაძირალების წინააღმდეგ საბრძოლველად. რომლებიც ჯერ კიდევ წამლავენ ჩვენი ცხოვრების სუფთა ჰაერს, და ქმედითი მუშაობით განმტკიცებს თავის გადაწყვეტილებებს, სასტიკად სთხოვს პასუხს იმ კომუნისტებს, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ მოწინავე როლს წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში.

რუსთაველები იმიტომ ახერხებენ ბევრ რამეს მიაღწიონ ქალაქში სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლაში, რომ პარტიული ორგანიზაციები ფართოდ ებმენ აქტიურ ბრძოლაში საზოგადოებრიობის ძალებს. აი ფაქტები. რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან უკვე მეზუთე წელია მუშაობს ვეტერანთა საბჭო. მის შემადგენლობაში 77 კაცია. იგი უამრავ აქტივისტს აერთიანებს. ამ საბჭოს სათავეში უდგას რუსთავის ერთ-ერთი დამაარსებელი ვ. ლ. ჩარკვიანი, კომუნისტი, ადამიანი, რომელიც ქალაქში დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობს. საზოგადოებრივი საბჭო სერიოზულ მუშაობას ეწევა ქალაქის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელში წესრიგის დასამყარებლად. აღწევს მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურებაც. ქალაქის სანეტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას. საბჭოს ინიციატივით ქალაქის ქუჩებში, მოედნებზე და სკვერებში დარგულია მრავალი ათასი ხე და ბუჩქი, მოწყობილია მათი მოვლა.

რუსთაველთა მაგალითი ერთეული როდია. მაგრამ იგი ბევრ რამეს გვასწავლის. და უწინარეს ყოვლისა იმას, რომ შეიძლება მთები შესძრა, თუ საკმეს ხელს ჭკიდეს საზოგადოებრიობა. ეს აზრი კარგად გამოხატა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა რუსეთის ფედერაციის მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკთა თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში. მან თქვა: „ჩვენს საბჭოთა სოციალისტურ ქვეყანაში პარტიის 10 მილიონზე მეტი წევრი და კანდიდატია, 20 მილიონზე მეტი კომკავშირელი და 60 მილიონზე მეტი პროფკავშირის წევრი — ეს უდიდესი საზოგადოებრივი ძალაა. მიუხედავად ამისა ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ არიან ყალთაბანდები, ქურდები, ხულიგნები და დამნაშავენი. უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა ასეთ ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა წინააღმდეგ. და თუ ყველა კომუნისტი, კომკავშირელი, პროფკავშირის წევრი დაიარაზმება ამ ბრძოლისათვის, მაშინ მოვსპობთ მთელ უწმინდურებას“.

საზოგადოებრიობა უდიდესი ძალაა. მას შეუძლია არა მარტო გამოავლინოს პარაზიტები, დამნაშავეები, არამედ გავლენაც მოახდინოს ნაფორხილებულ ადამიანებზე, დროულად დაეხმაროს მათ, ხელი შეუწყოს, რომ გზას არ გადასცდნენ. მაგალითად, ბოლნისის რაიონში საზოგადოებრიობამ ბევრი ღონისძიება იხმარა იმისათვის, რომ სწორ გზაზე დაეყენებინა ახალგაზრდა სპეკულიანტი გ. რეხვიაშვილი. ძალღონითა და ენერგიით სავსე, სპეციალური სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე ადამიანი ინვენტარიზატორად მეფეწილ რაიონულ სამომხმარებლო კავშირში და არამც და არამც არ უნდოდა ემუშავნა საბჭოთა მეურნეობაში, თუმცა ყველა მისი სიკეთით სარგებლობდა. მას მკაცრად მოეპარაკენენ მისი ამხანაგები კრებაზე, და თუმცა საუბარი პირუთვნელი იყო, იგი სასარგებლო აღმოჩნდა — აიძულა რეხვიაშვილი გონს მოგებოდა.

საჭიროა, რომ ადამიანები მომთხოვნად და მკაცრად ეკიდებოდნენ ერთმანეთს. ასეთი მაღალი მომთხოვნელობა იცავს ადამიანს ცუდი ქცევისაგან. ამასთან ერთად, როგორც ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა აღნიშნა, იგი აკავებს მუქთახორებს, ზარმაცებს, ყალთაბანდებს ანტისაზოგადოებრივ ქცევას, ძირგამომთხრელ საქმიანობას, რომელსაც მტრული ელემენტები ეწევიან.

ჩვენი საზოგადოების ინტერესებისათვის უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საზოგადოებრივი მუშაკის თვალი ყველგან მჭრელი იყოს, რომ ადვილებზე ყველგან დაწესდეს სასტიკი, ნამდვილად მასობრივი კონტროლი. ასეთი კონტროლის უქონლობა ხელფეხს უხსნის დამნაშავეებს, ქმნის მასაზრდოებელ ალერს თვალისსაზვისათვის, წამატებისათვის, ბიუროკრატიზმისათვის, საქმის გაჭიანურებისა და მექრთამეობისათვის. ამ მხრივ დამახასიათებელია ფაქტი, რომელსაც ქუთაისში ჰქონდა ადგილი. იქ დიდხანს აჭახრაკებდა თავის საქმეებს გამოუსწორებელი ურდები — სავაჭრო და საფინანსო მუშაკების ბრიგა, რომლებიც მთელი რიგი წლების მანძილზე მილიციისა და პროკურატურის ორგანოების ცხვირწინ სისტემატურად იტაცებდნენ სახელმწიფო სახსრებს. შედარებით მოკლე ვადაში 42 დამნაშავემ 3 მილიონი მანეთი დაიტაცა ფასების ძველი მასშტაბით. ეს მძარცველები დაუსჯელად მოქმედებდნენ რევიზორების პირდაპირი წაყრუებით, სარგებლობდნენ იმ ორგანიზაციების დაუდევრობით, რომლებსაც მათთვის კონტროლი უნდა გაეწიათ.

ქუთაისის საქმემ ბევრ რამეზე უნდა დაგვაფიქროს, და, კერძოდ, იმაზე, რომ სოციალისტური ქონების დაცვა, მისდამი კონტროლი ზოგიერთ საწარმოში ცუდად გვაქვს დაყენებული. განა შეიძლებოდა შემწყნალიყო ასეთი საქმე, განა შეიძლებოდა ასე დიდხანს ემოქმედნათ დამნაშავეებს, ჭეროვანი სიფხიზლე რომ გამოეჩინა ფართო საზოგადოებრიობას?

ახლა, როცა შექმნილია ერთიანი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლი, რომელმაც სახალხო მეურნეობის თვითეული დარგი მოიცვა, ბოროტედება ლენინური დებულება წარმოებისა და მოხმარებისადმი ყოვლისმომცველი და ქმედითი კონტროლის შესახებ, იხშობა ის საძრომები და ხვრელები, რომლებითაც სახალხო დოვლათის დამტაცებლები სარგებლობდნენ. სახალხო კონტროლიორთა 125-ათასიანი არმია ფართო ფრონტით ეწევა რესპუბლიკაში ბრძოლას სახელმწიფო ქონების საკეთილოდ. ეს ბრძოლა ერთ-ერთ ადგილი უჭირავს ბრძოლასა მექრთამეობასთან, რომელსაც ჯერ კიდევ ვხვდებით ცალკეულ პირთა შორის. იგი შეუუწყარებელი იყო ყოველთვის და ასწილად შეუწყარებელია ახლა, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. მექრთამეობა, როგორც წესი, თან სდევს მეტ წილ დიდ დაბაკებას, გაფლანგვას, სხვადასხვა კომბინაციებს. საზოგადოებრიობას შეუძლია აწარმოებდეს და კიდევაც უნდა აწარმოებდეს შეურიგებელ ბრძოლას წარსულის ამ წყეულ მემკვიდრეობასთან. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ მექრთამეობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობას შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს. მოვიყვან მაგალითს. სოხუმის საქალაქო საბანაო სამმართველოში დიდხანს მოქმედებდნენ მექრთამეები, რომლებიც ბინის ორდერების გაცემაში იღებდნენ ფულს და სხვა ძვეულს. მხოლოდ საზოგადოებრიობის დახმარებით გახდა შესაძლებელი ამ დანაშაულობათა აღმოჩენა. და მექრთამეებმა ჯეროვანი სასჯელი მიიღეს.

მექრთამეობასთან ბრძოლაში აქტიურად უნდა ჩაებას მშრომელთა ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ამ ბრძოლებასთან ბრძოლა ისე უნდა წარვმართოთ, რომ მექრთამეებს ყოველ ნაბიჯზე უდარაჯებდეს ხალხის რისხვა და ზიზღი. მაშინ მექრთამეები სამუდამოდ გაქრებიან.

დანაშაულობასთან ბრძოლაში, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ. როგორც საზოგადოებრივი აზრის გამომხატველები, ისინი მოვალენი არიან უფრო მტკიცედ ებრძოდნენ ყოველგვარ გადახრას სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებიდან, უფრო მწვავედ ამხარაზებდნენ წარსულის გადმონაშთებს ადამიანთა შეგნებაში, განაზოგადებდნენ პროკურატურის, ადგილობრივი ორგანოების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმებისა და საამხანაგო სასამართლოების მუშაობის დადებითს გამოცდილებას. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს მასალები კონკრეტული უნდა იყოს, ადამიანს, როგორც იტყვიან, გულში უნდა სწვდებოდეს, რაზმავდეს საზოგადოებრივ აზრს.

ბოლოს, უნდა შევეხოთ აგრეთვე მოსახლეობაში საბჭოთა კანონმდებლობის მზანსწრაფულ, ფართო პროპაგანდას, მშრომელთათვის მისი არსის განმარტებას. იურიდიული ცოდნის პროპაგანდაში ფართოდ უნდა ჩაებან არა მარტო იურისტები, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები, არამედ საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც: პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, მისი საქალაქო და რაიონული განყოფილებანი, საბჭოთა სამართლისა და კანონმდებლობის სექციები, ლექტორებისა და მომხსენებლების ჯგუფები.

ძნელია იმის გადაჭარბებით შეფასება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლას სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის, დამნაშავეობის ლიკვიდაციისათვის, მისი წარმომშობი ყველა მიზეზის აღმოფხვრისათვის. ამ ამოცანის გადაჭრა პარტიული და სახელმწიფოებრივი ორგანოების, ჩვენი რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობის მტკიცე ღონისძიებებს მოითხოვს.

ახლა საქმე ეხება იმას, რომ დანაშაულებრივ გამოვლინებათა და მათ მატარებელთა წინააღმდეგ შეტევაში აქტიურად ჩაებან საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მშრომელთა მასები, რომ ეს შეტევა წარმოებდეს სისტემატურად, განუწყვეტლივ, ერთი წამითაც არ ნელდებოდეს ტემპები, მხედველობიდან არ იქნას გაშვებული ცეცხლის დასაშენი არცერთი სამიზნე. მხოლოდ ასე შეიძლება გადაჭრილ იქნას ამოცანა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროგრამამ დააყენა: „აღმოიფხვრას დამნაშავეობა, საბოლოო ანგარიშით სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებანი შეიცვალოს საზოგადოებრივი ზეგავლენისა და აღზრდის ღონისძიებებით“.

დ. ზემლიანსკი,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი.

ПАРТИЙНАЯ ЖИЗНЬ

მეცხოველეობის ფერმის პარტიულ ჯგუფზე

ორი წლის წინათ სკკპ XIX ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის (ვოლინის ოლქი) მეცხოველეობის ფერმაში შეიქმნა პარტიული ჯგუფი სამი კაცისაგან. ახლა პარტჯგუფში ექვსი მოწინავე მეცხოველეა. ჯგუფს სათავეში უდგას საუკეთესო მეძორე კალი ამბ. ო. ტროფიმიუკი. ფერმის კომუნისტები სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის აქტიური მებრძოლები არიან. მაგალითად, ამბ. ტროფიმიუკმა შარშან 646 ცენტნერი ღორის ხორცი მიიღო, ხოლო მწველვებმა — კომუნისტებმა ამბ. ლევიცკაიამ, მოლოტკოვსკაიამ და ფეტკოვსკაიამ საშუალოდ ერთ ძროხაზე 2.300-2.600 კილოგრამი რძე მოწველეს. არტელმა შარშან აწარმოვა 406,5 ცენტნერი რძე 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე და 58,4 ცენტნერი ხორცი 100 ჰექტარ სახნავზე. ფერმიდან მოღებულმა შემოსავალმა კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის 59 პროცენტი შეადგინა. პარტჯგუფის წევრები ძროხების მექანიკური წველის დანერგვის ინიციატორები იყვნენ. მათ ზოგადსაგანმანათლებლო და აგროტექნიკურ სწავლებაში ჩაებეს მეტი წილ მეცხოველეები.

პარტიული ჯგუფის მუშაობა განიხილა უკრაინის კპ ვოლინის საოლქო კომიტეტის სამდივნომ. საწარმოო სამმართველოთა პარტკომებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადს პარტორგანიზაციებს რჩევა მიეცათ შეისწავლონ მისი გამოცდილება მდივნებისა და პარტჯგუფორგების სემინარებზე და მიიღონ ზომები მეცხოველეთა შორის პარტიულ-ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებისათვის.

ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა

ბელორუსიის კპ ვიტებსკის საოლქო კომიტეტის ბიურომ მოისმინა გოროდოკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტკომის მდივნის ამბ. ხლეხანოვის მოხსენება პარტიული ორგების ზრდისა და ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდის შესახებ. მთელ რიგ პირველადს ორგანიზაციებში სუსტად არის დაყენებული მუშაობა პარტიანი ინდივიდუალური შერჩევისა და ახლად მიღებულების აქტიურ პარტიულ ცხოვრებაში ჩაბმისათვის. ყველგან ჯეროვან მომთხოვნელობას როდი იჩენენ იმ კომუნისტებისადმი, რომლებიც იძლევიან რეკომენდაციებს პარტიაში შესვლის შესახებ. ზოგჯერ არაობიექტურად ახასიათებენ ახალი შევსების მორალურ-პოლიტიკურ და საქმიან თვისებებს. ახალგაზრდა კომუნისტთა ნაწილი დაავადებულია ისეთი მანკიერებით, როგორიც არის ლოთობა, ანგარება. 1962 წელს ამ მოტივებით დაისაჯა 33 კაცი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციებში მოწყობილი არ არის პარტიაში ახლად მიღებულთა სწავლება.

საოლქო კომიტეტის ბიურომ სამმართველოს პარტკომს დაავალა უზრუნველყოს ორგანიზაციებში შინაპარტიული და აღზრდილობითი მუშაობის დონის ამაღლება. პარტკომს რჩევა მიეცა უზრუნველყოს ახალგაზრდა კომუნისტებისათვის სემინარებისა და ინდივიდუალური საუბრების მოწყობა პარტიის წესდებაზე.

სკოლა, ოჯახი, საზოგადოებრიობა

ამ თემაზე საუბარი გამართა ყაზახეთის კპ ლენინგორსკის საქალაქო კომიტეტის მრავალ პლენუმზე. უკანასკნელ ხანს ქალაქის სკოლებში ამაღლდა მოსწავლეთა წარმატება, განმტკიცდა სასკოლო კოლექტივების კავშირი წარმოებასთან. ბევრ სასწავლებელში ეწყობა მშობელთა კონფერენციები, მოზრდილთათვის ამართება ფერწერის, მუსიკის, არქიტექტურის თეატრი საღამოები. ეს ხელს უწყობს იმას, რომ გამომუშავდეს სკოლისა და ოჯახის ერთიანი მიდგომა ახალგაზრდა თაობის აღზრდის საკითხებისადმი.

გამამდიდრებელ ფაბრიკაში საზოგადოებრიობამ გამოჰყო 49 რწმუნებული ამხანაგი, რომლებსაც განუწყვეტელი კავშირი აქვთ სკოლებთან, საფაბრიკის მუშების შვილები სწავლობენ. აქ საამქროებისა და ცვლების ღია პარტიულ კრებებზე სისტემატურად ლაპარაკობენ იმაზე, თუ როგორ ასრულებენ ცალკეული ამხანაგები თავიანთ მშობლიურ მოვალეობას. მაგრამ, სამწუხაროდ, მუშაობის ასეთ ფორმებს ჯერ კიდევ არ იყენებენ სხვა კოლექტივებში. ამიტომ პლენუმმა პირველადს ორგანიზაციებს დაავალა რეგულარულად შეიტანონ ეს საკითხები თავიანთი კრებების დღის წესრიგში.

ინსპექტორ – პარტორგანიზატორების სკკპ ალტაის სასოფლო-სამეურნეო კომიტეტი

სწავლება

სკკპ ალტაის სასოფლო-სამეურნეო კომიტეტმა მოაწყო საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების ინსპექტორ-პარტორგანიზატორთა სამდღიანი სემინარი. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მეცნიერთა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელთა მთელი რიგი ლექციები მიწათმოქმედების რაციონალური სისტემის დანერგვის, დაგეგმვის მეთოდიკის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების შესახებ. ინსპექტორ-პარტორგანიზატორებმა ამბ. ტკაჩოვმა, დონოვმა, ფლეროვმა, შეიკოვმა და სკკუნოვმა სემინარის მონაწილეთა ბაუზიარეს გამოცდილება სოფლის მეურნეობის მოგებიანობაციისა თავიანთი მეურნეობების შემდგომი ამაღლებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო ცოდნის უნივერსიტეტი

დუშეთი. (საკ. კორ.). ამას წინათ დუშეთის საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა შექმნა სასოფლო-სამეურნეო ცოდნის უნივერსიტეტი, რომელშიც გაერთიანებული არიან რაიონის პარტიული და საბჭოთა მუშაკები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, წილკნის სასელექციო სადგურის, მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობისა და მიწათმოქმედების საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები, სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტები.

უნივერსიტეტის რექტორად დამტკიცებულია საქართველოს სსრ მიწათმოქმედების საკავშირო ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი მ. დალაქიშვილი.

ამას წინათ საგურამოში, მიწათმოქმედების საკავშირო ინსტიტუტის საკვლევი ინსტიტუტის საავტო დარბაზში მოეწყო პირველი მეცადინეობა. თემაზე „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მიწათმოქმედების კულტურის გაუმჯობესების ამოცანები“ მეცადინეობა ჩატარა უნივერსიტეტის რექტორმა მ. დალაქიშვილმა.

ა. ნებიერიძე,
ახალციხის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე.

ქომუნისტი
ფე-2 ფეერდი, სამშაბათი,
7 მაისი, 1963 წ.

СКПЗ ЦЕНТРАЛЬНЫЙ КОМИТЕТ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის კლენუმის შესახებ

წარმოება და პოლიტიკური განათლების კაბინეტი

საბჭოთა ხალხის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას — იდეოლოგიურ ამოცანას — წარმოადგენს ახალი ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდა, ყველა მშრომელის აღზრდა კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით. სწორედ ამ მთავარი ამოცანის მიხედვით წარმართავს თავის მუშაობას ახალციხის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის. უწინარეს ყოვლისა ყურადღება მიეგზავნეთ კაბინეტის კეთილმოწყობას და გაფორმებას, რადგან მიზნად დაეისახეთ კაბინეტი გადაგვიქცია პროპაგანდისტების, აგიტატორებისა და იდეოლოგიური დარგის სხვა მუშაკების საყვარელ ადგილად.

კაბინეტში მოწყობილი გვაქვს პროპაგანდისტისა და აგიტატორის კუთხე, სადაც ისინი ეცნობიან მათთვის საინტერესო მასალებს. აქვეა მოწინავე პროპაგანდისტების, აგიტატორების, პარტორგანიზაციის მდივნების და რაიონის მოწინავე ადამიანების სპეციალური დაფები, ადამიანებისა, რომლებმაც თავი ისახელეს მატერიალური დოვლათის წარმოების საქმეში. დაწესებულია კონსულტანტთა სისტემატური მორიგეობა. ამ საქმეში ჩაბმული არიან ქალიფიციური და გამოცდილი ამხანაგები.

კაბინეტი თავის მუშაობაში ეყრდნობა აქტივს და მრავალფეროვანს ხდის თავის საქმიანობას. ჩვენი აქტივის საუკეთესო წარმომადგენლები არიან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი შ. წიქვაძე, მ. მელიქიძე, ნ. მხითარიანი, ნ. ბეგიშვილი, ს. მაღრაძე, ს. ხოსიტაშვილი და სხვები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ყველა ღონისძიების განხორციელებაში.

როგორც წესი, ყოველი თვის სამ რიცხვში და თვის ბოლოს, შაბათობით, ვატარებთ აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთა და პროპაგანდისტ-კონსულტანტთა მეთოდურ სემინარს. სემინარებზე განვიხილავთ არა მარტო წმინდა თეორიულ და მეთოდური ხასიათის საკითხებს, არამედ ვისმენთ პროპაგანდისტთა და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთა მოხსენებებს მათი მუშაობის შესახებ, წრეებსა და სემინარებში ვაწყობთ ღია მეცადინეობას და ვახდენთ მათს გარჩევა-განხილვას, რაც ხელს უწყობს მოწინავე პროპაგანდისტების გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას.

ჩვენი კაბინეტი დიდ მუშაობას ეწევა ადამიანების შეგნებიდან რელიგიურ ცრურწმენათა აღმოსაფხვრელად. ამ მხრივ კარგი შედეგი გამოიღო ანტირელიგიურმა საღამოებმა, რომლებიც მოვაწყეთ ასპინძაში, უდეში და ახალშა.

კაბინეტს თავის მთავარ მოვალეობად მიაჩნია ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა. სწორედ ამ მიზნით ამას წინათ მოვაწყეთ კითხვა-პასუხის საღამო, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. ფუდიტორიის წინაშე გამოვიდნენ და შემოსულ შეკითხვებზე ამომწურავი პასუხი გასცეს მ. ჯვარაძემ, ო. ახვლედიანმა, ნ. ზაქარიაძემ, დ. კოკორიძემ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა შ. წიქვაძემ და სხვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ლექციურ პროპაგანდას და საგიტაციო მუშაობას. ახლა, როცა გაჩაღებულია საგაზაფხულო სამუშაოები, ლექტორები და აგიტატორები უშუალოდ მინდვრად მომუშავე კოლმეურნეებთან მიდიან და მიაქვთ კომუნისტური პარტიის ცოცხალი და მართალი სიტყვა.

ამ ბოლო დროს პრაქტიკაში დავნერგეთ გამსვლელი კითხვა-პასუხის საღამოების მოწყობა ადგილებზე. ასეთი საღამოები გაიმართა აგარის, უდის, არალის, გიორგიწმინდის, ვალეს, აბათხევის და სხვა კოლმეურნეობებში.

უკანასკნელ ხანებში ჩვენ საგრძნობლად გავაძლიერეთ ღონისძიებანი იმისათვის, რომ იდეოლოგიური მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირდეს ცხოვრებას, პრაქტიკულ საქმეებს, რომ იდეოლოგიური დარგის მუშაკებმა თავიანთი საქმიანობით ხელი შეუწყონ პროდუქტების სიუხვის შექმნას, ქვეყნის ეკონომიურ აღმავლობას.

მშრომელთა აღზრდა ყველაზე მეტად შრომაში ხდება. ამიტომ გადაწყვიტეთ გამოგვიყენებინა შრომის ადამიანთა ზემოქმედების ძალა, გვეჩვენებინა მათი კეთილშობილური თვისებები. ამ მიზანს ემსახურებოდა ჩვენს მიერ აწყურსა და ვალეში განხორციელებული ღონისძიებანი.

საწარმოო სამმართველოს არა აქვს ცუდი მაჩვენებლები, მაგრამ მისი ეკონომიური წარმატებები კიდევ მეტი იქნებოდა, რომ ყველა საბჭოთა მეურნეობა ისე მუშაობდეს, როგორც აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა, და ყველა კოლმეურნეობა ისე მუშაობდეს, როგორც ვალეს ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა.

აწყურის, თისელის და ტყვმლანის კოლმეურნეობები წლების განმავლობაში ჩამორჩენილ, არარენტაბელურ მეურნეობებად ითვლებოდნენ, ხოლო როცა მათ ბაზაზე აწყურის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა და მისი ხელმძღვანელობა განმტკიცდა უნარიანი, საქმის მცოდნე ადამიანებით (მაგალითად, დირექტორი ნ. სარჯველაძე, მთავარი აგრონომი კ. გვიშიანი, პარტბიუროს მდივანი ს. ლაბაძე და სხვ.), მეურნეობა წელში გაიმართა და შესანიშნავ წარმატებებსაც მიაღწია. მაგალითად, თუ სიმინდის მოსავალი ერთ ჰექტარზე 1961 წელს მხოლოდ 23 ცენტნერი იყო, 1962 წელს საშეალო მოსავალი ჰექტარზე 51 ცენტნერამდე გაიზარდა. ყურძნის მოსავალი 21,9 ცენტნერიდან გაიზარდა 31,1 ცენტნერამდე, ერთ საფუარაე ძროხაზე მიღებული რძე — 1.126 კილოგრამიდან 1.376 კილოგრამამდე.

ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულება 1962 წელს შემცირდა: შემოდგომის ხორბლისა — 1961 წლის 17,96 მანეთიდან 4,70 მანეთამდე, სიმინდისა — 12,97 მანეთიდან 5,73 მანეთამდე, ბოსტნეულისა — 14,08 მანეთიდან 6,51 მანეთამდე. ყველა ამ წარმატებას აწყურელმა მშრომელებმა მიაღწიეს მთელი კოლექტივის თავდადებული შრომით. უნარიანად მოფერებულმა და მოწყობილმა შრომამ უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების გაზრდა, ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდება.

საჭირო იყო აწყურელთა მიღწევების პროპაგანდა და განზოგადება. სადაც არ უნდა წაგვეყვანა და რამდენიც არ უნდა ელაპარაკნათ მოწინავე მესაქონეე ლ. ონლოძეს, მეხილე ი. ღავთაძეს და სხვა დარგის მოწინავეებს, ყველა ერთ-ერთ ადამიანებს, მათი გამოცდილების განზოგადებისათვის ეს მაინც არ იქნებოდა საკმარისი. ხალხური სიბრძნეა, რაც შენი თვალით არ ნახო, სხვისი არ დაიჯეროო. ამიტომ ყველაზე მიზანშეწონილად ეცალინ ჩაგვეტარებინა ეკონომიური კონფერენცია თვით აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში, რომ კონფერენციის მონაწილეებს, სხვა საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს, არა მარტო მოესმინთ, არამედ პრაქტიკულად საკუთარი თვალით

7 მაისი რადიოს დღეა

მასების ჭრიბუნა

საბოლოოდ წლის წინათ — 1895 წლის 7 მაისს დიდმა რუსმა მეცნიერმა ა. ს. პოპოვმა რუსეთის ფიზიკურ-ქიმიური საზოგადოების სხდომაზე მოახდინა მის მიერ გამოგონებული მსოფლიოში პირველი რადიომიმღების გამოცდა, რაც ბრწყინვალე მედგებით დამთავრდა და ჩვენი ქვეყანა სამართლიანად გახდა რადიოს სამშობლოდ. ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად არის დაწესებული რადიოს დღე, რომელსაც საბჭოთა ხალხთან ერთად მთელი პროგრესული კაცობრობა წელს მეთვრამეტეჯერ აღნიშნავს. რადიოს დღე სოციალისტური მეცნიერებისა და კულტურის ნამდვილი დღესასწაული და რადიოელექტრონიკის დარგში საბჭოთა მეცნიერების მიერ მოპოვებულ გრანდიოზულ წარმატებათა დათვალიერების დღეა.

რევოლუციამდელ რუსეთში ხალხის შემოქმედებითი ძალები ყოველმხრივ შებორკილი იყო და ბუნებრივია, რომ ა. პოპოვის გენიალური გამოგონების პრაქტიკაში დანერგვას ყურადღება არ ექცევოდა. ფართო მასშტაბით მისი განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა რადიოს განვითარებისა და ქვეყნის რადიოფიკაციის ახალ ეპოქას.

ჩვენს ქვეყანაში რადიოტექნიკისა და რადიომაუწყებლობის განვითარება გასუხრულად დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის სახელთან. სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორი და პირველი ხელმძღვანელი ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე წინასწარმეტყველებდა რადიოს უდიდეს როლსა და მნიშვნელობას კომუნისტურ მშენებლობაში. ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ვ. ი. ლენინი იყენებდა რადიოს არა მარტო როგორც კავშირგაბმულობის დიდმნიშვნელოვან საშუალებას, არამედ აგრეთვე როგორც აგიტაციისა და პროპაგანდის უმნიშვნელოვანეს ტრიბუნას. ამასთან ერთად ვ. ი. ლენინი სისტემატურად ზრუნავდა რადიოტექნიკისა და რადიომაუწყებლობის განვითარებისათვის. ამაზე ამჟამად მეტყველებს ვ. ი. ლენინის მითითების მიხედვით აღნიშნულ საკითხზე შედგენილი და მის მიერვე ხელმოწერილი ათზე მეტი დეკრეტი. ხალხთა დიდი ბელადის ოცნება ქვეყნის რადიოფიკაციის ხანმოგრძელად იქცა. პარტიამ შესანიშნავად განახორციელა ლენინის იდეები „უქალაღო და უმავძილო გაზეთის შესახებ“.

სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფ განვითარებასთან ერთად ჩქარი ტემპით იზრდებოდა და ვითარდებოდა სამამულო რადიოელექტრონიკა. ამჟამად ასობით სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, ლაბორატორიები და საკონსტრუქტორო ბიუროები ამუშავებენ და ქმნიან რადიოაპარატურისა და ტელეაპარატურის ახალ კონსტრუქციებსა და ნიმუშებს, რომლებშიც ხორციშესხმულია საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის შემოქმედებითი იდეები და უდიდესი მიღწევები რადიოელექტრონიკის დარგში. მოკლე დროის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ტერიტორია დაიფარა სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების რადიო და სატელევიზიო სადგურებისა და ცენტრების ფართო ქსელით.

საბჭოთა ადამიანები კანონიერად ამაყობენ არა მარტო იმით, რომ ჩვენი ქვეყანა რადიოს სამშობლოა, არამედ იმითაც, რომ პირველი რადიოსიგნალები, რომლებიც კოსმოსის სიღრმიდან გაისმა, დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმოსური რაკეტების რადიოგადამცემების სიგნალები იყო.

საბჭოთა კოსმონავტებს — ი. გაგარინს, გ. ტიტოვს, ა. ნიკოლაევსა და პ. პოპოვიჩს წარმატებითი გაფრენები აშკარად მეტყველებენ საბჭოთა მეცნიერების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების უდიდეს მიღწევებზე რადიოტექნიკისა და რადიოელექტრონიკის დარგში.

ამჟამად რადიო, ისევე როგორც მისი პირმშო — ტელევიზია, ფართოდ არის გამოყენებული სახალხო მეურნეობისა და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალ დარგში.

ასრულდა ვ. ი. ლენინის ოცნება, რომ მთელი ქვეყანა ისმენდეს გადაცემებს მოსკოვიდან. ახლა საბჭოთა კავშირის — თითქმის მთელი მოსახლეობა ისმენს და ნახულობს რადიო და ტელევიზიებს. საბჭოთა რადიოს ხმა მძლავრად ეფინა მთელ მსოფლიოში. საზღვარგარეთის ქვეყნებისთვის გადაცემები წარმოებს სსრ კავშირის ათ ენაზე და ორმოცდაერთ უცხო ენაზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა რადიომაუწყებლობის მოცულობა. ამჟამად იგი თითქმის ჩვენს ქვეყანაში შეადგენს 950 საათზე მეტს დღეღამეში.

საბჭოთა რადიოს გადაცემები საზღვარგარეთის ქვეყნებში სულ უფრო და უფრო ფართო აუდიტორიას იზიდავს. ამაზე ნათლად მეტყველებს საზღვარგარეთელ რადიომსმენელთა წერილების ნაკადი. საკმარისია აღინიშნოს, რომ გასულ წელს საზღვარგარეთიდან 250 ათასზე მეტი წერილი იქნა მიღებული.

1963 წლის დასაწყისისათვის საბჭოთა კავშირის მოსახლეობას 22 მილიონი რადიომიმღები და 33 მილიონი რადიოწერტილი ჰქონდა. რადიომაუწყებლობის მოცულობა, რადიომიმღებებისა და რადიოწერტილების რაოდენობა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენს რესპუბლიკაშიც.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ამჟამად საქართველოს რადიოს გადაცემები წარმოებს ორი პროგრამით ოთხ ენაზე 18 ს. და 30 წ. მოცულობით დღეში.

სულ უფრო და უფრო სწრაფად ვითარდება და საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრებაში ფართოდ მკვიდრდება ტელევიზია. თორმეტი წლის წინათ ჩვენს ქვეყანაში 15 ათასი ტელევიზორი ითვლებოდა, ახლა მარტო საქართველოში 98 ათასზე მეტი ტელევიზორია, ბევრ საბჭოთა კავშირში კი 8 მილიონზე მეტი. ისევე სწრაფად იზრდება სატელევიზიო მაუწყებლობა. 1950 წელს საბჭოთა კავშირში მხოლოდ ორი სატელევიზიო ცენტრი იყო, ახლა კი 107 სატელევიზიო ცენტრი და 30 ძლიერი რეტრანსლატორი მოქმედებს. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე სატელევიზიო მაუწყებლობის ხანგრძლივობა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენენ რადიო და ტელევიმაუწყებლობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სწრაფი განვითარებისათვის. მომავალში კიდევ უფრო სწრაფი ტემპით წარმართება რადიო და ტელევიტერების ქსელის გაფართოება და მათი აღჭურვა უახლესი სრულყოფილი აპარატურითა და დანადგარებით. მიმდინარე წლის ზაფხულში დამთავრდება თბილისი-ქუთაისის რადიორელეური ხაზის მშენებლობა და დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონების ტელემაყურებლებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ საქართველოს ტელევიზიის გადაცემები.

ერი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა დაღვენილება რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა. ერთგვარად ამაღლდა რადიო და ტელემაუწყებლობის დონე, უფრო შინაარსიანი გახდა რადიო და ტელეპროგრამები, გაიზარდა რადიოსა და ტელევიზიის ოპერატიულობა და ორგანიზატორული როლი, გაძლიერდა მათი კავშირი ცხოვრებასთან, კომუნისტური შრომის პრაქტიკასთან.

რადიო და ტელეგადაცემებში ცენტრალური იდეური უჭირავს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების ფართო პროპაგანდასა და წარმოებაში დანერგვას. რადიო და ტელეგადაცემებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პარტიის XXII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალების პროპაგანდას, ვრცლად მუშაობდა ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შემოქმედების საუკეთესო საშუალებაა. მაგრამ ზოგჯერ ჩვენ მას შესაფერისად და მოხერხებულად ვერ ვიყენებთ. ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. ჩვენს მიერ გადაცემული მასალები ყოველთვის როდია სათანადო იდეურ-მხატვრულ დონეზე, მათ ზოგჯერ აკლია აქტორის, რეჟისორისა და რეფისორის ხელი, ხშირად საუბრები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე ერთფეროვანია.

რადიოსა და ტელევიზიის მუშაკების გადაუდებელი ამოცანაა მთელი ბოლშევიკური მგზნებარებით ეწიოდნენ მასების მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა პროპაგანდას. სისტემატიურად რაზმავდნენ და წარმართავდნენ ხალხის უმრეტ შემოქმედებით ძალებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განსაკითარებლად და დასანერგავად, კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის აღსაზრდელად.

ბ. ბარდაშხაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

„ფიდელ, ჩემი სამშობლო — შენი სახლია!“

„მოსკოვი, კრემლი, ფიდელ კასტროს — ათასობით დეპეშა მიიღო ამ მისამართით ეროვნულმა გმირმა, კუბის რევოლუციის ბელადმა საბჭოთა კავშირში ყოფნის პიოველ დღეებში.

დეპეშებში ფიდელ კასტროსადმი საბჭოთა ადამიანები გამოთქვამენ ძმური მეგობრობის გრძნობებს, ძისალმეიის გულითად სიტყვებს, დიდ სოლიდარობას უცხადებენ რევოლუციურ კუბას, უსურვებენ ახალ დიდ წარმატებებს კუბის სოციალიზმის მშენებლობაში და ასევე ბედნიერებასა და ჯანმრთელობას. წერენ პიონერები და მოსწავლეები, სტუდენტები და ახალგაზრდა მეცადინეები, მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერები და მსახიობები, პოლარელები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჯარისკაცები და ოფიცრები.

ფიდელ კასტროს ნებართვით ჩვენ გადავათვალიერეთ დეპეშების დიდი დასტები. მათი წაკითხვა შეუძლებელია აუღელვებლად. თითოეული სიტყვა მოწმობს უსაზღვრო საყვარულს თავისუფლების კუნძულის გმირი ხალხისა და მისი ბელადისადმი.

მოსკოვი, კამჩატკის პეტროპავლოვსკი, რიგა, მინსკი, იგარკა, ამურის კომსომოლსკი, იაკუტსკი, კოქჩეტავი, ბრატსკი, ულიანოვსკი, სევასტოპოლი, სარატოვი, კიევი, ტაშკენტი — არ არის ჩვენი საამშობლოს ისეთი კუთხე, საიდანაც მეგობრობის სიტყვებს არ უთვლიდნენ ძვირფას კუბელ სტუმარს.

„მგზნებარე სალამი მეყამირეებისაგან“, — ნათქვამია კოქჩეტავიდან გამოგზავნილ დეპეშაში. აი ბრატსკელ მშენებელთა წერილი: „სულითა და გულით მოგესალმებით ჩვენს ქვეყანაში, დიდი ლენინის საამშობლოში. აღტაცებული ვართ კუბელი ხალხის გმირული ბრძოლით. ჩვენ ყოველთვის თქვენთან ერთად ვიქნებით სასიხარულო და ძნელ წუთებში. გაუმარჯოს კუბას, რომელიც ოცდაათ ლიზმს აშენებს!“. „მოხარული ვართ მოგესალმოთ თქვენ — სოციალისტური ამერიკის კოლუმბს“, — წერენ ყაზანის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები. „ძვირფასო ფიდელ კასტრო, მოგესალმებით შაგი ზღვის მეზღვაურთა სახელით. გისურვებთ ბედნიერებას, წარმატებებს“, — ეს სიტყვები მოიტანა ტელეგრაფმა სევასტოპოლიდან. სევასტოპოლელთა ნორჩი მეზობლები კი არტეკიდან წერენ: „არტეკელი პიონერები მოხარული არიან მოგესალმონ თქვენ ჩვენს ბედნიერ მიწაზე. მოუთმენლად გელით არტეკში“.

ფიდელ კასტრომ უამრავი დეპეშა მიიღო საბჭოთა ბუშტების, იხვინოებისა და ტექნიკოსებისაგან, რომლებიც რევოლუციური კუბის შეკვეთებს ასრულებენ. ამ ყურილებში საიდან ადამიანები წერენ, რომ მზად არიან მთელი თავიანთი ძალღონე, ცოდნა და ენერგია ოიახმარონ ამ ... ამ ... ...

ტელევიზორი ჩვენი ოჯახების ყოველდღიური კეთილი სტუმარია... ამ ქალიშვილებსა და ჰაბუკს თითქმის ყოველი ჩვენგანი იცნობს. ისინი ტელევიზორის ეკრანით გვეწვევიან ხოლმე ყოველ საღამოს და ახლობელი ადამიანებივით გვესაუბრებიან.

სურათზე: საქართველოს ტელევიზიის დიქტორები (მარცხნიდან) ალექსანდრა მაჭავარიანი, თენგიზ ნათაძე და ნათელა ბოლქვაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

პ. ოცხელის ნამუშევრების გამოფენა

ქუთაისი. (საკ. კორ.). სურათების სახელმწიფო გალერეაში გაიხსნა ქუთაისის მკვიდრის, ცნობილი ქართველი მხატვრის პეტრე ოცხელის ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრის ორასამდე ნამუშევარი, მათ შორის დეკორაციული ხელოვნების ნაწარმოებნი.

დამთვალიერებლები უდიდესი ინტერესით ეცნობიან ქუთაისის თეატრში განხორციელებული დადგმების ესკიზებს. პ. ოცხელმა აქ გააფორმა „ურიელ აკოსტა“, „ბეატრიჩე“, „გულადი ჯარისკაცი შვეიკი“ და სხვა დადგმები.

პრემიერა ჭიათურაში

ჭიათურა. (საკ. კორ.). აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ო. იოსელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ“. სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. სებისკვერაძემ, მხატვრულად გაფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. აბჟანდაძემ.

როლებს ასრულებენ: საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გ. ტყაბლაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ვ. სვანელი, მსახიობები ა. მოსაშვილი, დ. ჯაფარიძე, ა. ბარათაშვილი, გ. მოდებაძე, ა. ბაქრაძე.

„ჩანიტას კოცნა“

მუსიკალური კომედიის თეატრის ახალი სპექტაკლი

ოპერეტა სინთეზური თეატრალური ხელოვნებაა, სადაც დრამატურგია ორგანულად ერწყმის სიმღერას, ცეკვას და დიალოგს. კომედიური ხასიათების საღი იუმორი, სიხარულით აღსავსე ცხოველმყოფელობა, სხარტი, მოხდენილი მელოდიები, პოპულარული საცეკვო რიტმები ქმნიან ყველა პირობას, რომ თეატრის ამ ჟანრმა მიიზიდოს მაყურებელი და დიდი რეჟისორებიც. ცნობილია, რომ სტანისლავსკი და მარჯანიშვილი მოღვაწეობის გარკვეულ პერიოდებში გატაცებული იყვნენ ამ ჟანრით. ხოლო თუ გავიხსენებთ მარჯანიშვილის მოსაზრებას, ქართული თეატრი თავისი ბუნებით კომედიურიაო, მაშინ ადვილი გასაგებია ხალხის ის სიყვარული, რაც სამართლიანად დაიმსახურა თბილისის ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა.

წლების განმავლობაში ეს თეატრი ქმნის სპექტაკლებს, ეძებს და ადგენს თავის შემოქმედებით სახეს. რუსულ, საბჭოთა და უცხოეთის კლასიკურ ნაწარმოებებთან ერთად თეატრმა ფართოდ გაუღო კარი თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, რაც მისი შემოქმედებითი წარმატების ერთ-ერთი საწინდარია. აქვე უნდა აღვნიშნოთ ამ წარმატებისათვის აგრეთვე მნიშვნელოვანი და ფრიად საჭირო პირობა: მუსიკალური თეატრის სპექტაკლი მაღალ მუსიკალურ დონეებთან ერთად მოითხოვს რეჟისორისა და მსახიობის დახვეწილ გემოვნებას, ზომიერების დიდ გრძნობას, მაღალ კულტურას, ვინაიდან ხშირად, ოპერეტის კომედიური ბუნება ზომიერების გრძნობის დაკარგვით ვარდება მეორე უკიდურესობაში — ვულგარობაში, ჯანსაღი სიცილი იცვლება უხეში ხარხარით, ხოლო იდეური ულერადობა — მისი საწინააღმდეგო მანკიერებით.

ამ მხრივ თეატრს გამარჯვებებიც უნახავს და მარცხიც, და კარგი ის არის, რომ თეატრმა თავისი გამარჯვების ფასიც იცის და დამარცხებისაც.

თეატრის მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი და ნამდვილი შემოქმედებითი „გამარჯვებაა“ რეჟისორ **უშანგი დარჩიას** სპექტაკლი **„ჩანიტას კოცნა“.**

კომპოზიტორ მილიუტინის „ჩანიტას კოცნამ“ (ტექსტის ავტორი შატუნოვსკი) პოპულარობა მოიპოვა საბჭოთა მუსიკალური თეატრების სცენაზე. ეს ნაწარმოები საყურადღებოა საბჭოთა ოპერეტის ნოვატორული ხასიათის განმტკიცებით, სახელდობრ, ანტაგონისტური თემატიკით, თანამედროვეობის დადებითი სახეებით და უარყოფითის მიმართ მწვავე სატირით.

სამხრეთ ამერიკის ახალგაზრდებმა ჩანიტამ (თ. მერკვილაძე, ე. გურაშვილი), პაბლომ (ოთ. ბახტაძე, ვ. სალარიძე) და რამონმა (ზ. კახიანი) გადაწყვიტეს მონაწილეობა მიიღონ მსოფლიო ახალგაზრდობის მშვიდობის ფესტივალში. მათ ფული არა აქვთ. სამგზაროდ აქვთ ურყევი რწმენა, ახალგაზრდული უშრეტი ენერგია, სიცოცხლის ხარბი სიყვარული, ურთიერთთანადმი ერთგულების გრძნობა და მშრომელი ხალხის თანაგრძნობა. ახალგაზრდების ამ ჯგუფს უპირისპირდება ბარონ მეპატრონე ვინმე ჩეზარე (თ. ხელაშვილი, დ. მაჭავარიანი). იგი მდიდარია და ფიქრობს, რომ ყველაფერი აქვს, ვინაიდან ფულის წყალობით შეუძლია ყველა სურვილი შეისრულოს. „ყოვლისშემძლე“ ვიგინდარამ მოინდომა ჩანტას სიყვარულის მოპოვება — ყიდვა. ამით იგი „მეორე კუდდღელსაც იპერს“ — ხელს უშლის ახალგაზრდებს მშვიდობის ფესტივალზე წასვლაში. ბრძოლა მთავრდება ახალგაზრდების გამარჯვებით.

რეჟისორმა კარგად „წაიკითხა“ ეს მუსიკალური პიესა, შეიგრძნო და განიცადა ნაწარმოების არსი და საკუთარი რეჟისორული ენით „უამბო“ იგი მაყურებელს კეთილშობილი სისადავითა და უბრალოებით. ეს არის სპექტაკლის მთავარი ღირსება. დრამატურგიული მასალის ღრმა შეგრძნება და გააზრება — შემოქმედის აუცილებელი და ნიშანდობლივი თვისებაა.

რეჟისორმა უ. დარჩიამ სწორედ წარმართა მუშაობის გეზი, სპექტაკლში ყველაფერი აღმოცენდა ნაწარმოების კარგად ნაპოვნი მარცვლიდან. აქ ყველაფერი ორგანულ მთლიანობაშია, გასაგებია და გამობარია მართალი სიტყვის სიხარულით. დირიჟორ მ. ბორჩხაძის, ნიჭიერი ბალეტმეისტერის დ. მაჭავარიანის, მხატვარ შ. ჩიქოვანის და რეჟისორის სწორად აღებული ერთიანი გეზით ნაწარმოების შინაგანი არსი გამკვეთრდა, ფერადოვნად აელვარდა და მსახიობის სიტყვა-მოძრაობა-სიმღერა-ცეკვა ორგანულ მთლიანობაში მოექცა. ზომიერი იუმორი და მოკმედებაა ნათელი მიზანსასვლა ქმაყოფილების ღიმილსა და ჯანსაღ სიცილს იწვევს მაყურებლებში.

არ შევუდგებით მსახიობთა მუშაობის დეტალურ გარჩევას, სპექტაკლი ფართო ყურადღების ღირსია და სიტყვა თავრის კრიტიკოსებისათვის დამთმია. მინდა ზოგადად აღვნიშნო მსახიობთა კარგი პროფესიული დონე და ანსამბლურობა. რეჟისორმა აზრის მყარი გზით წარმართა მსახიობთა მოქმედება, რითაც თავისთავად მოისპო გადახვევებისა და გადათამაშების საშუალება.

სპექტაკლი გვახარებს თავისი სიახლით, სისადავითა და გულწრფელობით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს სპექტაკლი, რომელიც საღია და თავისუფალი მოდურ გატაცებათა მავნე ჩვევებისაგან, შემთხვევითობა კი არ არის, არამედ შეგნებით მიღწეული და ღრმად პრინციპული.

ვახტანგ ტაბლიაშვილი.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან. მარცხნიდან მარჯვნივ — დიეგო (ნ. პეტრაშვილი), პაბლო (ო. ბახტაძე), ჩანიტა (თ. მერკვილაძე), რამონი (ზ. კახიანი).

ფოტო ი.ზევინისა.

ახალგაზრდა მუსიკოსი

ჩელოს დამკვრელი **სპარტაკ კორკოტაშვილი** ნიჭიერ ქართველ შემსრულებელთა სულ ახალგაზრდა თაობას ეკუთვნის. ორი წელია, რაც მან თბილისის კონსერვატორია დაამთავრა პროფესორ გ. ბარნაბიშვილის ხელმძღვანელობით. როცა გამოსაშვებ გამოცდაზე რთული პროგრამა შეასრულა (სენ-სანსის კონცერტი, ბახის მესამე სიუიტა), კომისიის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ერთხმად აღნიშნეს მისი მუსიკალობა, ლამაზი ხავერდოვანი ბგერა, შინაგანი სითბო.

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ს. კორკოტაშვილი ორი წელი საქართველოს რადიოს ორკესტრში უკრავდა. აქ დაეუფლა საანსამბლო შესრულების ხელოვნებას, გაეცნო მსოფლიო მუსიკალური ლიტერატურის მრავალ ნიმუშს.

ახლახან კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა სპარტაკ კორკოტაშვილის კონცერტი. ახალგაზრდა მუსიკოსმა საინტერესო პროგრამა შეასრულა: ბახის, ბეთჰოვენის, ჩაიკოვსკის, ლალოს, ფორეს, პოპერის, ს. ციცაძის ნაწარმოებები. განსაკუთრებით კარგი იყო ჩაიკოვსკის „ვარიაციები როკოკოს თემაზე“ სახეების სიმდიდრით და ხატოვანი ფერადობით. ლალოს კონცერტში და პოპერის პიესაში („ჯარა“) მუსიკოსმა მაღალი ტექნიკა გამოავლინა.

მიუხედავად ახალგაზრდობისა, ს. კორკოტაშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. იგი კამერული ანსამბლის კლასს ხელმძღვანელობს თბილისის მეოთხე მუსიკალურ სასწავლებელში.

მ. ფიჩხაძე.

სურათზე: სპარტაკ კორკოტაშვილი.

მ. გოტვინიკ-ტ. პეტროსიანის მატჩი

ჩემპიონი „ბენწზე ეკიდა“

მოსკოვი, 6 მაისი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ). მეჩვიდმეტე პარტია უადრესად საინტერესო გამოდგა. ბოტვინიკმა ახალინდური დაცვა აირჩია, რომელსაც საერთოდ თამაშის გამარტივება მოყვება ხოლმე, მაგრამ ამჯერად ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. პრეტენდენტმა რთული სისტემა აირჩია და ცენტრში უპირატესობაც მიიღო. ამასობაში ბოტვინიკმა კონტრიერიში წამოიწყო ლაზიერის ფრთაზე, მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოყოლია.

თანდათან პეტროსიანის ერთგვარი უპირატესობა სახიფათო ინიციატივაში გადაიზარდა. მას 27-ე სვლაზე შეეძლო მოსაგები პოზიცია მიეღო, მაგრამ რატომღაც არ აირჩია უფრო აქტიური გაგრძელება. პეტროსიანი თვლდა, რომ მის მიერ ნათამაშევი სვლითაც დიდ უპირატესობას იღებს, მაგრამ ეს მცდარი გადაწყვეტილება გამოდგა.

მძიმე პოზიციაში ბოტვინიკი დიდი ოსტატობით თამაშობდა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი მძაფრ ატაკნოტში მოხვდა, მან მნახა პარტიის ხსნის ერთადერთი გზა — სწორად შეაფასა შექმნილი პოზიცია და ლაზიერის გაცვლით შეგნებულად გადავიდა უარეს ენდშპილში. წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტენდენტს შეეძლო კვლავ მიეღო გადამწყვეტი უპირატესობა.

შეიქმნა დაბოლოება თეორებისათვის ზედმეტი პაიკით, მაგრამ ბოტვინიკმა დამაჯერებლად დამტკიცა, რომ მეტოქეს უკვე აღარ ქონდა მოგების შესაძლებლობა. ამიტომ დარწმუნდა რა, რომ მან უკვე დაკარგა ყოველგვარი უპირატესობა, პრეტენდენტმა ზედმეტი პაიკის მიუხედავად აირჩია შესთავაზა მსოფლიოს ჩემპიონს. 40-ე სვლაზე ეს შეხვედრა „ზავით“ დაგვირგვინდა.

მატჩის ანგარიში გახდა 9:8 პეტროსიანის სასარგებლოდ. მორიგი მეთვრამეტე პარტია გაიმართება 8 მაისს.

ა. კოტოვი,

გროსმაისტერი.

მოსკოვი-თბილისი

დღეს თბილისს ძერჟინსკის სახელობის კლუბში დაიწყება მოსკოვისა და საქართველოს მოჭადრაკე ქალთა კოლექტივების ტურნირი.

ორივე გუნდი დაკომპლექტებულია ათ-ათი მოჭადრაკით. მათ შორის 6 ქალია და 4 გოგონა. მოსკოვის ძლიერ კოლექტივში არიან მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ო. რუბცოვა, საერთაშორისო ოსტატები ო. იგნატიევა, ა. კეშნირი, ოსტატი ა. კიკკოვი და სხვ.

დედაქალაქის მოჭადრაკეთა წინააღმდეგ ბრძოლა მოუხდებათ მსოფლიოს ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს, საქართველოს ჩემპიონს საერთაშორისო ოსტატ ა. ჩაიკოვსკაიას, ოსტატ ე. კაკაბაძეს, გ. ბუცხრიკიძეს, ს. ივანოვას, ქ. გოგიავას, ც. კახაბრიშვილს, ნ. ჩიქობავას, ნ. ალექსანდრიას, ვ. კუპრაშვილს.

საჭადრაკო ტურნირი ათ დღეს გაგრძელდება.

ქალაქის ამბავი

ბოლო ამბავი

საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკეთა და მოწვეულ ოსტატთა ასპარეზობის მეორე ტურში ბ. გურგენიძემ წარმატებით ჩაატარა შეხვედრა მ. თხელიძესთან და მოიგო პარტია. გროსმაისტერმა რ. ხოლმოვმა ძლიერი იერიშით დაამარცხა ი. ჩიქოვანი, ხოლო გროსმაისტერ ა. ტოლუშს რთული მანევრული ბრძოლის შემდეგ ხედმეტი ხარისხი დარჩა თ. კიკიანთან, რომელიც გამარჯვებამდე მიიყვანა. რ. ჯინჯიხაშვილმა სრულიად მოსაგებ პოზიციაში უხეში შეცდომით წააგო პარტია ჯ. ბერაძესთან. ა. ბლაგიძემ მოიგო ჰ. არნშტეინის, ხოლო მ. შიშოვი და ა. ბუსლაევი ყაიმზე შეთანხმდნენ. საერთაშორისო ოსტატ ლ. შამკოვიჩს ერთხანს უარესი მდგომარეობა ჰქონდა თ. ლომაიასთან, მაგრამ შემდეგ გამოიყენა მეტოქის არაზუსტი თამაში და გაიმარჯვა. გ. კალატოზიშვილს მოსაგები პოზიცია აქვს ს. ჰალილბეილისთან.

გუშინ გაიმართა მესამე ტური. ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა რ. ჯინჯიხაშვილმა, რომელიც შაგებით ეთამაშებოდა გროსმაისტერ ა. ტოლუშს. სიცილიური დაცვის ე. წ. „დრაკონის ვარიანტში“ ახალგაზრდა მოჭადრაკე სწრაფად დაეუფლა ინიციატივას და მალე უძლიერესი იერიში განავითარა. გროსმაისტერმა ვერაფერი ვაყო შეეგების მზარდ შეტევასთან და 30-ე სვლაზე პირველი დამარცხება განიცადა. ლ. შამკოვიჩმა მოუგო ჰ. არნშტეინს, რ. ხოლმოვმა — თ. კიკიანს, მ. თხელიძემ — თ. ლომაიას. ა. ბუსლაევი და გ. კალატოზიშვილი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ველორბოლის ტრასაზე

გასულ კვირაღლეს ერევნის ლენინის სახელობის მოედანზე სტარტი მიეცა მეგობრობის ველოსრბოლას აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს, აგრეთვე თურქმენეთის ველოსრბოლთა მონაწილეობით.

ველოსრბოლის ფინიში შედგება ერევანში, შეჯიბრება ათ დღეს გაგრძელდება. დისტანცია 1.050-მდე კილომეტრს შეადგენს. პირველ ეტაპზე უძლიერესი იყო სომხეთის წარმომადგენელი კლევლოვი. მეორე ადგილი დაიკავა ბირიუკოვმა (საქართველო).

გუშინ შედგა მეორე ეტაპი, რომელის დისტანცია 140 კილომეტრი იყო. ამ ეტაპზე გაიმარჯვა ბირიუკოვმა. ორი ეტაპის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო საქართველოს ველოსრბოლმა ბირიუკოვმა.

ქალაქი ცხოვრობს

... ბოლო ამბავი

ამ დღეებში კრემლის თეატრის სცენა დაეთმო საქართველოს ახალგაზრდა წარგზავნილებს — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების სასწავლებელთა მოსწავლეებს. სტუმრების მოსასმენად მოვიდნენ მუსიკალური და ქორეოგრაფიული სასწავლებლების, კონსერვატორიის პედაგოგები, მუსიკოსები და ხელოვნებათმცოდნეები. ეს მეკვირვეტყველურად მოწმობდა საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს ახალგაზრდა ქართველ მევიოლინეთა, პიანისტთა, ქორეოგრაფთა კონცერტისადმი.

როგორ აფასებენ დედაქალაქის მუსიკალურ წრეებში ამ საღამოს? ამ კითხვაზე ჩვენს კორესპონდენტს უპასუხა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მუსიკალური სასწავლებლების განყოფილების უფროსმა, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ლიდია გრიგოლის ასულმა ილინამ.

მოხარული ვიყავი, — თქვა ლიდია გრიგოლის ასულმა, — სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სახელით მივსალმებოდი საქართველოს მოსწავლე მუსიკალურ ახალგაზრდობას. კრემლის თეატრის სცენაზე გამოსვლა დიდი ნდობა და პატივია. ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ სტუმრების კონცერტით და მათი გამოსვლებით. არ მეშინია ვიხმაროთ სიტყვა „ძალიან“ იმიტომ, რომ იგი საქმის ნამდვილ ვითარებას ასახავს. მევიოლინეთა ანსამბლის პირველი ნომრით დაწყებული და „ბუნდის დასკვნითი გამოსვლით დამთავრებული, კონცერტს მხურვალე ტაშით ხვდებოდნენ.

ეს ნამდვილი სერიოზული კონცერტი იყო როგორც პროგრამით, ისე ტევადობით და შესრულებულ ნაწარმოებთა სირთულით. თავდაპირველად მინდა ვთქვა, რომ კონცერტის ორგანიზაციამ, მისმა გაფორმებამ უაღრესად სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. ამ შთაბეჭდილებას ემატებოდა აგრეთვე სოლისტებისა და ანსამბლების გამოსვლების კანონზომიერება და მკაფიობა.

რამდენადაც ეს კონცერტი მაძლევს საშუალებას განვსაჯო ის მიმართულება, რომლითაც ქართული მუსიკალური სკოლის პედაგოგები მუშაობენ, უაღრესად სერიოზული და ღრმაა. ამას მოწმობს როგორც რეპერტუარი, ისე შესრულების დონე.

კონცერტი ორი განყოფილებისაგან შედგებოდა. პირველში გამოვიდნენ თბილისის კონსერვატორიასთან არსებული ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლენი. მე არ მინდა კონცერტის მონაწილეთაგან გარსკვლავები გამოვყო. მაგრამ მაინც ბევრი საქები სიტყვა უნდა ითქვას ლიანა ისაკაძეზე, რომელმაც შეასრულა სენ-სანსის ინტროდუქცია და რონდო კაპრიჩიოზო, ნანა იამვილზე. რომელმაც აღმავლობით შეასრულა ს. რახმანინოვის რომანსი და განსაკუთრებით გ. ვენიავსკის სკერცო-ტარანტელა. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ, კარგი პროფესიული მომზადების მქონე ნინო ჭირაქაძეზე. რომელმაც შეასრულა ი. გუმელის რონდო მიბმელ მაყორი. და რუსუდან გავაშელზე. ს. მენდელსონის კაპრიჩიო რომ შეასრულა. ზოგიერთი ჩამოთვლილი ახალგაზრდა მუსიკოსისათვის მოსკოვში მოგვისმენია და კარგად ვიცნობ მათს პედაგოგებს, მაგალითად, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს ვ. ნ. შიუკაშვილს, ლ. ნ. შიუკაშვილს, ლ. ს. იაშვილს, რომლებმაც მუსიკალურ-საშემსრულებლო ხელოვნებას ჩინებული მუსიკოსები მისცეს. ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა IX კლასის მოსწავლის თამაზ ბუაძის გამოსვლამ. მან შეასრულა ს. რახმანინოვის ეტიუდი-სურათი მიბმელ მინორი. (პედაგოგ ნ. მიასნიკოვის კლასი). მოსკოველებმა კარგად მიიღეს აგრეთვე ერვინ კამალოვი, IX კლასის მოსწავლე, რომელმაც შეასრულა ფ. ლისტის ეტიუდი ფა-მინორი (საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ თ. ჩხარტიშვილის კლასი). დასამახსოვრებელი იყო აგრეთვე ნიჭიერი მოსწავლეების: ა თორაძის, რ. მაჩაბლის, კ. თუშმალიშვილისა და სხვების გამოსვლები.

ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლეებისაგან მიღებული საერთო შთაბეჭდილება საუკეთესოა. ეს ახალგაზრდები ძალიან ნიჭიერნი არიან, ფაქიზად აღიქვამენ მუსიკის ყველა ნიუანსს, პროფესიულად მცოდნენი და ბუნებით უეჭველად უხვად დაჯილდოებულნი არიან.

მეორე განყოფილებაში გამოვიდნენ თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლისა და მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის მოსწავლენი. მე ვიტყოდი, რომ იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც ხალხური ცეკვები და სიმღერები შეასრულეს, შეიძლება მსახიობები კუზოდოთ. მათ ბევრი ნომერი გაამეორეინა. ... ბოლო ... ქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ... ...